

„საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონის (დოკუმენტის ნომერი: 3024-რს) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – საგანმანათლებლო რესურსცენტრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 იანვრის №31 ბრძანებაში (სსმ, №8, 23/01/2006, სარეგისტრაციო კოდი: 430.010.000.22.022.008.031) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დებულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების – რესურსცენტრების ტიპური დებულება“;

ბ) მე-2 მუხლის:

ბ. ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. რესურსცენტრის უფროსი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – ბრძანებით განსაზღვრავს რესურსცენტრის თანამშრომელს/თანამშრომლებს, რომელიც:

ა) უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მართვას;

ბ) უზრუნველყოფს რესურსცენტრის წარმომადგენლობას სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში და სასამართლოში;

გ) უზრუნველყოფს განათლების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებისა და ნოვაციების გაცნობას;

დ) ახორციელებს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივ ხელშეწყობას;

ე) სამართლებრივ დახმარებას უწევს საჯარო სკოლებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და ხელშეკრულების პროექტების მომზადებაში;

ვ) უზრუნველყოფს საჯარო სკოლების წარმომადგენლობას სასამართლოში, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში;

ზ) უზრუნველყოფს საჯარო სკოლებისათვის კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში სხვადასხვა სახის იურიდიული კონსულტაციის გაწევას და სამართლებრივი დახმარების აღმოჩენას.“;

ბ. ბ) მე-3 პუნქტის შემდგომ დაემატოს 3¹ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„3¹. ამ დებულების დანართი 1-ის №1 გრაფით განსაზღვრული რესურსცენტრის უფროსი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – ბრძანებით განსაზღვრავს რესურსცენტრის თანამშრომელს/თანამშრომლებს, რომელიც ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ უფლებამოსილებების განხორციელებას ამ დებულების დანართი 1-ის №2 გრაფით განსაზღვრულ რესურსცენტრებსა და მათ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საჯარო სკოლებისათვის.“;

ბ.გ) 3¹ პუნქტით გათვალისწინებული დანართი 1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



	გრაფა №1	გრაფა №2
1	ქალაქ ლაგოდეხის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	ქალაქ სიღნაღის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
2	ქალაქ ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	ქალაქ ქარელის და ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრები
3	ქალაქ ახალციხის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	დაბა ადიგენის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
4	ქალაქ რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	ქალაქ დმანისის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
5	ქალაქ ამბროლაურის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	ქალაქ ონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
6	ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრი	ქალაქ სენაკის, ქალაქ ხობის, დაბა მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრები

“;

ბ.დ) მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი 3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი 3

1	ქალაქ დუშეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
2	დაბა თიანეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
3	ქალაქ საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი

“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

